ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4981656

ნომერი: AR1752472

თარიღი : 05.06.2020

გაცემის თარიღი : 13.06.2020

გაცნობის თარიღი : 15.06.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კოტე მაყაშვილის ქუჩა, N 31ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხაჭაპურიძე პ/ნ 01018005127
- თბილისი ვ.გუნიას ქ. N 4

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1752472 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, კოტე მაყაშვილის ქუჩა, #31ა; #01.15.02.071.027; საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ ფართზე ნებართვის გაცემას და ითხოვთ წარმოების დაწყების შემთხვევაში წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2020 წლის 10 თებერვალს #AR1733481ელექტრონული განცხადებით, სამსახურს მომართა

მოქალაქე ზაზა ჯინჭარაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, კოტე მაყაშვილის ქუჩა, #31ა; #01.15.02.071.027; საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ ფართზე, (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხადარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.